დამტკიცებულია ა(ა)იპ გელათის სასულიერო აკადემიისა
და სემინარიის
სასწავლო საბჭოს 2014 წლის 28 მაისის N5 საოქმო გადაწყვეტილებით.

ცვლილებები შესულიადა ახალი რედაქციით დამტკიცებულია –
ა(ა)იპ გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის
სასწავლო საბჭოს 2019 წლის 18 თებერვლის N1 საოქმო გადაწყვეტილებით.

მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის

შ ი ნ ა გ ა ნ ა წ ე ს ი

ქუთაისი

2014

შ ი ნ ა ა რ ს ი

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. შინაგანაწესის მოქმედების სფერო
მუხლი 2. შინაგანაწესის შესრულების სავალდებულოობა

თავი II. სამუშაო, შესვენებისა და დასვენების დრო, სამუშაო კვირის ხანგრძლივობა,შვებულება და მივლინება
მუხლი 3. შრომითი ხელშკრულება
მუხლი 4. სამუშაო დრო
მუხლი 5. დასვენების დღეები
მუხლი 6. სამუშაო დროის მოდიფიცირება
მუხლი 7. არასამუშაო დროს სამუშაო ადგილზე ყოფნის პირობები
მუხლი 8. შვებულება
მუხლი 9. მივლინება

თავი III. შრომის ანაზღაურების პირობები, გაცემის დრო და ანგარიშსწორების ფორმა
მუხლი 12. ხელფასის გაცემა
მუხლი 13. შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და ანგარიშსწორების ფორმა

თავი IV. აკადემიური პერსონალის უფლება-მოვალეობები
მუხლი 14. უფლებათა ფარგლები
მუხლი 15. აკადემიური პერსონალის ვალდებულებები

თავი V. დასაქმებულის უფლებები და ვალდებულებები
მუხლი 16 . დასაქმებულის უფლებები
მუხლი 17. დასაქმებულის ვალდებულებები

თავი VI. წახალისების ფორმები
მუხლი 18. წამახალისებელი ღონისძიებები

თავი VII. დისციპლინარული პასუხისმგებლობა
მუხლი 19. დისციპლინარული გადაცდომის ფორმები
მუხლი 20. პასუხისმგებლობის ზომები და გამოყენების წესი

თავი VIII. შინაგანაწესის მოქმედება სტუდენტებზე
მუხლი 21. სტუდენტთა ქცევის წესი
მუხლი 22. სტუდენტთა უფლება-მოვალეობები
მუხლი 23. ეთიკის წესების დარღვევა
მუხლი 24. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები

მუხლი 25. სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებული საკითხები
მუხლი 26. დასკვნითი დებულებები

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. შინაგანაწესის მოქმედების სფერო

1. ეს შინაგანაწესი შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, კონკორდატის უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, საქართველოს შრომის კოდექსის, გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის წესდებისა და დებულების საფუძველზე.

2.წინამდებარე შინაგანაწესი წარმოადგენს სამართლებრივ-დისციპლინარული წესების კრებულს, რომელიც ადგენს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირის - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პერსონალის სამუშაო პირობებს, მის ტერიტორიაზე სტუდენტებისა და პერსონალის ქცევის წესებს და მიზნად ისახავს:

ა) შრომითი და მისი თანმდევი ურთიერთობის, აგრეთვე სასწავლო პროცესში სტუდენტებთან არსებული ურთიერთობის მოწესრიგებასა და დაცვას.

ბ) შრომის და სასწავლო პროცესში დისციპლინის დაცვას;

გ) გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ფუნქციების შესრულების უზრუნველსაყოფად მის სტრუქტურულ ერთეულებსა და მათ პერსონალს შორის შეთანხმებულ და კოორდინირებულ მოქმედებას;

დ) დასაქმებულთათვის დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად ხელშემწყობი სამუშაო გარემოს, აგრეთვე შრომისა და სწავლის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობების შექმნას;

ე) გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამართული მუშაობის ხელშეწყობას.

მუხლი 2. შინაგანაწესის შესრულების ვალდებულება

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების გარდა, შინაგანაწესის შესრულება სავალდებულოა ნებისმიერი დასაქმებულისათვის, დაკავებული პოზიციის მიუხედავად, და სტუდენტებისათვის, სპეციალური მითითებების გარეშე.

2. თუ დასაქმებულთან ან სტუდენტთან დადებული ხელშეკრულებით დადგენილია წინამდებარე შინაგანაწესისგან განსხვავებული წესები, მოქმედებს ხელშეკრულებით შეთანხმებული დებულებები.

თავი II
სამუშაო, შესვენების და დასვენების დრო, სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, შვებულება და მივლინება

მუხლი 3. შრომითი ხელშკრულება

1. გელათის სასულიერო აკადემია და სემინარია დსაქმებულ პერსონალთან დებს შრომით ხელშეკრულებას, რომლითაც განისაზღვრება:
ა) პერსონალის სამუშაო პირობები;
ბ) შრომის ანაზღაურების წესი და სხვა უფლება-მოვალეობები.
2. შრომითი ხელშეკრულების პირობები შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსისა და ყველა სხვა საკანონმდებლო მოთხოვნებს, რომელიც არეგულიერებს შრომით ურთიერთობებს;
3. შრომის ხელშეკრულების ვადები განისაზღვრება ხელშეკრულების მხარეთა მიერ.

მუხლი 4. სამუშაო დრო

1. დასაქმებული ვალდებულია გამოცხადდეს სამუშაო ადგილზე ყოველ სამუშაო დღეს, დროულად, დაგვიანების გარეშე. სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადებად ჩაითვლება სამუშაო დღის დაწყებიდან 10 წუთით გვიან გამოცხადება.

2. სამუშაო დრო წარმოადგენს კალენდარული დროის ნაწილს, რომლის განმავლობაშიც პერსონალი ვალდებულია განახორციელოს თავისი სამსახურებრივი უფლება-მოვალეობები.

3. გელათის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში დაწესებულია 5 დღიანი სამუშაო კვირა - ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით. თითოეული სამუშაო დღე 8 საათიანია - დილის 9:00 სთ-დან საღამოს 17:00 სთ-მდე.

4. დასაქმებულების ნაწილზე არ ვრცელდება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესი. ამ დასაქმებულების სამუშაო დრო განისაზღვრება მათი აკადემიური დატვირთვით ან/და მათთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით.

5. სასწავლო პროცესის მოთხოვნების გათვალისწინებით, პერსონალისათვის დასაშვებია 6 დღიანი სამუშაო კვირა შაბათი დღის დამატებით.

მუხლი 5. დასვენების დღეები

1. გელათის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში დასვენების დღეებია შაბათი და კვირა, გარდა მე-4 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა.

2. გელათის სასულიერო აკადემია და სემინარია ისვენებს საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილ დასვენების დღეებში.

3. გელათის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში, საეკლესიო დღესასწაულებთან დაკავშირებით, რექტორის მიერ გამოცემული ან სასწავლო საბჭოს მიერ მიღებული აქტით შეიძლება განისაზღვროს დასვენების დღეები, რომლებსაც არ ითვალისწინებს შრომის კოდექსი.

მუხლი 6. სამუშაო დროის მოდიფიცირება

1. დროებითი შრომისუუნარობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო გამოუცხადებლობისას დასაქმებულმა აღნიშნულის შესახებ უნდა აცნობოს შესაბამისად, უშუალო ხელმძღვანელს ან პროექტორს სასწავლო/ადმინისტრაციულ დარგში გონივრულ ვადაში. დროებითი შრომისუუნარობის გამო გაცდენილი დღეები ითვლება საპატიოდ და ანაზღაურდება, თუ სამედიცინო დაწესებულებიდან წარმოდგენილი იქნება შესაბამისი დოკუმენტი.

2. სამსახურში გამოუცხადებლობად არ ჩაითვლება მივლინების ან უფლებამოსილი პირის დავალების საფუძველზე მოვალეობების ძირითადი საქმიანობის ადგილის გარეთ შესრულება.

მუხლი 7. არასამუშაო დროს სამუშაო ადგილზე ყოფნის პირობები

1. შინაგანაწესით დადგენილ დასვენებისა და საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრულ უქმე დღეებში, აგრეთვე სამუშაო დროის შემდგომ სამუშაო ადგილზე მუშაობა დასაშვებია:

ა) გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორის გადაწყვეტილებით, დასაქმებულთან შეთანხმებით, სათანადო კომპენსაციით ან მის გარეშე;

ბ) საკუთარი ინიციატივით, რექტორის ან უშუალო ხელმძღვანელის თანხმობის საფუძველზე.

2. არასამუშაო დროს საკუთარი ინიციატივით (უფლებამოსილი პირის დავალების გარეშე) სამუშაოს შესრულებისას დასაქმებულს კომპენსაცია არ მიეცემა.

მუხლი 8. შვებულება

1. დასაქმებულს სამუშაო წლის განმავლობაში უფლება აქვს ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით შრომის კოდექსით დადგენილი წესით რექტორთან შეთანხმებით.

2. შვებულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები წესრიგდება საქართველოს შრომის კანონმდებლობით.

მუხლი 9. მივლინება

1. მივლინება არის დასაქმებულის სამუშაო ადგილის დროებით შეცვლა, სამუშაოს ინტერესებიდან გამომდინარე.

2. დასაქმებულის მივლინებაში გაგზავნა არ მიიჩნევა შრომითი ხელშეკრულების პირობების შეცვლად, თუ მივლინების პერიოდი არ აღემატება წელიწადში 45 კალენდარულ დღეს.

3. მივლინების ხარჯების ანაზღაურება ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი III

შრომის ანაზღაურების პირობები, გაცემის დრო და ანგარიშსწორების ფორმა

მუხლი 12. ხელფასის გაცემა

1. შრომის ანაზღაურება ხდება ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობის მიხედვით.

2. აკადემიური პერსონალის და მოწვეული სპეციალისტების ანაზღაურება განისაზღვრება საათობრივი დატვირთვით და გამოითვლება ჩატარებული სალექციო მეცადინეობების მიხედვით.

3. დასაქმებული ვალდებულია, საბანკო ანგარიში გახსნას სასწავლებლის ადმინისტრაციის მიერ მითითებულ ბანკში.

4. გელათის სასულიერო აკადემია და სემინარია იხსნის პასუხისმგებლობას საბანკო სისტემებში წარმოქმნილი მიზეზებით ხელფასის გაცემის შეფერხებებზე და ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაზე.

მუხლი 13. შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და ანგარიშსწორების ფორმა

1. შრომის ანაზღაურება გაიცემა ყოველი თვის ბოლოს, გარდა დასაქმებულთან შეთანხმებული შემთხვევისა.

2. შრომის ანაზღაურება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, დასაქმებულის საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით.

თავი IV
აკადემიური პერსონალის უფლება-მოვალეობები

მუხლი 14. უფლებათა ფარგლები

აკადემიური პერსონალი, გარდა ამ შინაგანაწესით გათვალისწინებული შრომითი უფლებებისა, სარგებლობს საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი უფლებით.

მუხლი 15. აკადემიური პერსონალის ვალდებულებები

გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია:

1. წარმოადგინოს სასწავლებლის მიერ დადგენილ ფორმაში იმ სასწავლო კურსის/კურსების სილაბუსები, რომლებსაც კითხულობს მიმდინარე სემესტრში ან პოტენციურად შეუძლია წაიკითხოს აკადემიური პროგრამის ფარგლებში შემდგომ სემესტრებში.
2. გაუძღვეს კონკრეტულ სასწავლო კურსს/კურსებს წარმოდგენილ სილაბუსში მოცემული განრიგის შესაბამისად. სასწავლებლის ადმინსიტრაციის წარმომადგენელი (რექტორი, რექტორის მოადგილე, დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი) უფლებამოსილია დაესწროს ლექციებსა და სემინარებს.

3. მუდმივად განაახლოს და დახვეწოს სასწავლო კურს(ებ)ის სილაბუს(ებ)ი და შესაბამისობაში მოიყვანოს სასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამებთან და დადგენილი სილაბუსის ფორმაში შეტანილ ცვლილებებთან.
4. გააცნოს სტუდენტებს სასწავლო კურსის სილაბუსი პირველ ლექციაზე.
5. საჭიროების შემთხვევაში გამოყოს კონსულტაციის დრო ლექციის წინ ან ლექციის შემდეგ. კონსულტაციისათვის გამოყოფილი დრო არ იქნება ანაზღაურებადი.
6. შეადგინოს შუალედური და დასკვნითი გამოცდის საკითხები სილაბუსის მოთხოვნების შესაბამისად.
7. შუალედურ და დასკვნით გამოცდამდე ერთი კვირით ადრე შესაბამის კათედრაზე წარმოადგინოს საგამოცდო საკითხები ელექტრონული სახით;
8. შუალედური და დასკვნითი გამოცდების მეორე დღეს, დეკანატში წარმოადგინოს შევსებული უწყისები და შედეგები შეიყვანოს ელექტრონულ ბაზაში;
9. დროულად გამოცხადდეს ლექციაზე. დაგვიანების ან/და გაცდენის შემთხვევაში წინასწარ გააფრთხილოს კათედრის გამგე. 10 წუთის დაგვიანების შემდგომ აღნიშნული სალექციო საათი არ ანაზღაურდება.
10. აღადგინოს გაცდენილი საათები სემესტრის დასრულებამდე;
11. შექმნას მის მიერ განხორციელებადი პროგრამის ელექტრონული ვერსია;
12. დაესწროს სასწავლებლის ადმინისტრაციის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებს/თათბირებს;

თავი V
დასაქმებულის უფლებები და ვალდებულებები

მუხლი 16 . დასაქმებულის უფლებები

<u>1.დასაქმებული უფლებამოსილია:</u>

ა) მოითხოვოს შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების შექმნა;

ბ) შეთავსებით ასრულებდეს სხვა ანაზღაურებად საქმიანობას მხოლოდ დამსაქმებელთან არასამუშაო დროს ან დამსაქმებელთან შეთანხმებით;

გ) მოითხოვოს გაწეული შრომის შესაბამისი ანაზღაურება სრულად და დროულად.

მუხლი 17 . დასაქმებულის ვალდებულებები

<u>1. დასაქმებული ვალდებულია:</u>

ა) შეასრულოს ხელშეკრულებით, საქართველოს კანონმდებლობითა და შინაგანაწესით განსაზღვრული მოვალეობანი, ასევე დამსაქმებლის მითითებები;

ბ) სპეციალური მითითების გარეშე დაიცვას იმ სამართლებრივი აქტების მოთხოვნები, რომლებიც ეხება გელათის სასულიერო აკადემიასა და სემინარიას და უკავშირდება მის სამსახურებრივ საქმიანობას;

გ) დაიცვას ზნეობრივი და ეთიკური ნორმები, გაუფრთხილდეს გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის საქმიან რეპუტაციას;

დ) დროებითი არყოფნის დროს, ასევე ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მისთვის მინდობილი ქონების დასაბრუნებლად მიმართოს პირს, რომელიც ვალდებულია ჩაიბაროს საქმის წარმოება და ქონება;

ე) დაიცვას გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის საკუთრებასა თუ მფლობელობაში არსებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობებით სარგებლობისთვის დაწესებული მოთხოვნები, ასევე შრომის უსაფრთხოების, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვისა და სანიტარული წესები;

ვ) გაეცნოს შინაგანაწესს და აღნიშნული დაადასტუროს საკუთარი ხელმოწერით.

თავი VI
წახალისების ფორმები

მუხლი 18. წამახალისებელი ღონისძიებები

1. დასაქმებულის მიერ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, განსაკუთრებული სირთულის, მნიშვნელობის ან დავალების წარმატებით შესრულებისათვის, წესდება წახალისების შემდეგი ღონისძიებები:
ა) მადლობის გამოცხადება;
ბ) ფულადი ჯილდო;
დ) თანამდებობრივი სარგოს თანრიგის ამაღლება;

2. შეიძლება ერთდროულად გამოყენებულ იქნას წახალისების რამდენიმე ფორმა.

3. წახალისების ღონისძიების გამოყენების უფლება აქვს გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორს.

თავი VII
დისციპლინარული პასუხისმგებლობა

მუხლი 19. დისციპლინარული გადაცდომის ფორმები

1. დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს დასაქმებულის მიერ შემდეგი ქმედებების განხორციელება:

ა) სულიერ–ზნეობრივი ნორმების დარღვევა.
ბ) გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის წესდებით, დებულებით, ამ შინაგანაწესით და სხვა შიდანორმატიული აქტებით დადგენილ მოვალეობათა შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება;
გ) გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიისათვის ქონებრივი ზიანის მიყენება ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროების შექმნა;
 დ) გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ან/და მისი თანამშრომლის დისკრედიტაციისაკენ მიმართული საქციელი, განურჩევლად იმისა, გელათის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაშია ჩადენილი თუ მის გარეთ.

მუხლი 20. პასუხისმგებლობის ზომები და გამოყენების წესი

1. გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორმა, საეკლესიო კანონების საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, დისციპლინური გადაცდომისათვის შეიძლება გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგი ზომები:

ა) გაფრთხილება;

ბ) საყვედური;

გ) ხელფასის დაკავება;

დ) ხელშეკრულების შეწყვეტა.

3. ერთი დისციპლინური გადაცდომისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს დისციპლინური პასუხისმგებლობის მხოლოდ ერთი ზომა. ამასთან, რექტორი შეზღუდული არ არის პასუხისმგებლობის ზომის არჩევაში.

4. რექტორს უფლება აქვს დასაქმებულს ვადამდე მოუხსნას დისციპლინური პასუხისმგებლობა, თუ მან არ ჩაიდინა ახალი გადაცდომა და თავი გამოიჩინა, როგორც კეთილსინდისიერმა თანამშრომელმა.
5. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის მოქმედების პერიოდში დასაქმებულის მიმართ რექტორის მიერ შესაძლოა გამოყენებულ იქნეს წახალისების ღონისძიებები.

თავი VIII
სტუდენტთა ქცევის ნორმები

მუხლი 21. სტუდენტთა ქცევის წესი

1. გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სტუდენტთა ცხოვრების წესი და ქცევა დგინდება ქრისტიანული ეთიკის, უწმინდესი საეკლესიო მოძღვრებისა და საეკლესიო კანონების ძირითადი პრინციპების საფუძველზე. სტუდენტები მოვალენი არიან იცხოვრონ ეკლესიურად და მონაწილეობა მიიღონ საეკლესიო ღვთისმსახურებაში. სტუდენტი ექვემდებარება რექტორის კანონიკურ იურისდიქციას.

2. ყველა სტუდენტი თანაბრად სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობითა და გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის აქტებით მისთვის მინიჭებული უფლებებით.

3. სტუდენტი იზიარებს ამ შინაგანაწესით გათვალისწინებულ ღირებულებებს, იცავს გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორისა და სხვა უფლებამოსილი ორგანოების აქტებსა და დადგენილ წესებს. წინამდებარე შინაგანაწესი, ასევე, ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც სწავლობენ გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა მოკლევადიან გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე.

4. სტუდენტი აღიარებს გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის უფლებას, შინაგანაწესის დარღვევის შემთხვევაში, განიხილოს მისი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი და, ამასთან, იღებს ვალდებულებას, შეასრულოს ამ საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება.

მუხლი 22. სტუდენტთა უფლება-მოვალეობები

1. სტუდენტს უფლება აქვს, მიიღოს საფუძვლიანი განათლება, მონაწილეობდეს მეცნიერულ კვლევებში, მიიღოს საჭირო ინფორმაცია გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სასწავლო პროცესთან დაკავშირებით, ასევე ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობითა და გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის აქტებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებებით.

2. სტუდენტი ვალდებულია:

ა) ცნობდეს და ემორჩილებოდეს საეკლესიო იერარქიას;

ბ) ერთგული იყოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის დოგმატური, კანონიკური და ზნეობრივი სწავლებისა, დაიცვას წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის უცვალებელი სჯული და მოძღვრება;

გ) დროულად და ზუსტად ასრულებდეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და რექტორის ლოცვა-კურთხევასა და დავალებებს;

დ) მორჩილებას, პატივისცემასა და მოწიწებას ავლენდეს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობლის - სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიმართ, ასევე პატივისცემით ეპყრობოდეს საეკლესიო იერარქიის წევრებს, გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ხელმძღვანელობას, პედაგოგებსა და თანამშრომლებს;

ე) შეათანხმოს პრორექტორთან იმ გამოსაქვეყნებელი თუ გასავრცელებელი წერილების, სტატიებისა და ინტერვიუების ტექსტი, რომელიც ეხება მართლმადიდებელი ეკლესიის სარწმუნოებრივ, დოგმატურ, კანონიკურ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს;

ვ) პრორექტორის ლოცვა–კურთხევის გარეშე არ გააკეთოს საჯარო განცხადებები (წერილობითი/ზეპირი), ასევე არ იმოქმედოს აკადემიის სახელით;

ზ) გელათის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში გამოცხადდეს ქრისტიანული ზნეობისათვის შესაფერისად მოწესრიგებული (ჩაცმულობა, გარეგნობა);

3. გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სტუდენტი არ შეიძლება იყოს რომელიმე პოლიტიკური გაერთიანების წევრი.

4. სტუდენტი ვალდებულია დაიცვას საეკლესიო ეთიკის ნორმები (შემდგომში – ეთიკის წესები).

მუხლი 23 ეთიკის წესების დარღვევა

ეთიკის წესების დარღვევად ჩაითვლება:

ა) ამ შინაგანაწესის 22–ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა;
ბ) დაგვიანება ლექცია-სემინარებზე;

გ) მეცადინეობის მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა;

დ) მობილური ტელეფონის გამოყენება ლექციებსა და სემინარებზე;

ე) გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სასწავლო ინვენტარის, კომპიუტერული ტექნიკისა და სხვა მატერიალური ქონების დაზიანება, მათდამი უდიერად მოპყრობა;

ვ) უხეში, საეკლესიო ეთიკისათვის შეუფერებელი ქმედება გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ადმინისტრაციის, პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტებისა და თანამშრომელთა მიმართ;

ზ) ბიბლიოთეკის ფონდით სარგებლობის წესების დარღვევა;

თ) გადაწერა სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან ან გამოყენება სხვა სახის დამხმარე მასალისა, რომელიც ლექტორის მიერ წინასწარ არ არის ნებადართული; სხვა პირის ნამუშევრის, როგორც საკუთარის წარმოჩენა ან ერთი პირის მიერ მომზადებული დავალების ჯგუფურ ნამუშევრად წარმოჩენა; სხვა სტუდენტის ნამუშევრის მოპარვა, განადგურება, შეცვლა.

ი) ხელის შეშლა სხვა სტუდენტებისათვის სწავლასა და კვლევის პროცესში საჭირო რესურსების დამალვით, მოპარვით ან განადგურებით;

კ) სხვა სტუდენტისათვის აკადემიური სიყალბის ჩადენაში ხელის შეწყობა;

ლ) კვლევითი სამუშაოების ინფორმაციის გაყალბება;

მ) პლაგიატი (სხვისი ნამუშევრიდან ციტირება, აზრის გადმოტანა ან სხვისი ნამუშევრის აზრის ფორმირების წყაროდ გამოყენება ავტორისა და წყაროს მითითების გარეშე);

ნ) გამოცდაზე ქცევის წესის დარღვევა (სხვა სტუდენტის ნაცვლად გამოცდის ჩაბარება ან სხვა პირის შეგზავნა გამოცდის ჩასაბარებლად და სხვა);

ო) შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე ზემოქმედებით.

პ) სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა (მათ შორის: ლექციაზე საუბარი, ხმაური, მობილური ტელეფონით სარგებლობა, ნებართვის გარეშე ლექციაზე დაგვიანებით შესვლა ან აუდიტორიის თვითნებურად დატოვება და სხვა);

ჟ) ცრუ ინფორმაციის გავრცელება, რაც მიმართულია სასწავლო პროცესის ჩაშლისკენ;

მუხლი 24. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები

1. ეთიკის წესების დარღვევა ითვალისწინებს დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგი ზომებს:

1.1. საეკლესიო (კანონიკური) ეპიტიმია;

1.2. გაფრთხილება;

1.3. საყვედურის გამოცხადება;

1.4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;

1.5. მითითებული სახდელები სტუდენტის მიმართ გამოიყენება გადაცდომის სიმძიმის მიხედვით. სტუდენტის ორჯერ ზედიზედ გაფრთხილების შემთხვევაში მის მიმართ უპირობოდ გამოიყენება საყვედური.

(1.2. – ძვ.რედაქციით, გაუქმდა სასწ. საბჭოს ოქმით №9 23.12.14.)

(1.3. – ძვ.რედაქციით, გაუქმდა სასწ. საბჭოს ოქმით №9 23.12.14.)

(1.4. – ძვ.რედაქციით, გაუქმდა სასწ. საბჭოს ოქმით №9 23.12.14.)

2. ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის ან ასეთის გარეშე, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების უფლება აქვს გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორს. ერთი დარღვევისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს დისციპლინური პასუხისმგებლობის მხოლოდ ერთი ზომა. ზომის გამოყენებისას მხედველობაში მიიღება დარღვევის ხასიათი და მისი სისტემატურობა. ამასთან, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს:

ა) საეკლესიო კანონების, საეკლესიო ეთიკის ნორმების დარღვევა, რექტორისა და სხვა უფლებამოსილი პირების ლოცვა-კურთხევის შეუსრულებლობა;

ბ) მართლმადიდებელი ეკლესიიდან განდგომა;

გ) სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით გათვალისწინებული ნორმების დარღვევა.

მუხლი 25. სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებული საკითხები

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია აკადემიური შვებულება; ავადმყოფობა; უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა ან ეთიკის წესების დარღვევა. ასევე სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლა.

2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ შინაგანაწესის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას.

3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ფაკულტეტის დეკანი შუამდგომლობას წარუდგენს რექტორს და საკითხს განიხილავს სასწავლო საბჭო.

მუხლი 26. დასკვნითი დებულებები

1. გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სტრუქტურული ერთეულები და პერსონალი მოქმედებენ წინამდებარე შინაგანაწესის საფუძველზე და ვალდებულნი არიან დაიცვან დადგენილი წესები;

2. შინაგანაწესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორთან შეთანხმებით, რომელსაც ამტკიცებს სასწავლო საბჭო.

3. გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის დასაქმებული პერსონალი და სტუდენტები ვალდებულნი არიან გაეცნონ წინამდებარე შინაგანაწესს, ხოლო ადმინისტ-რაცია ვალდებულია მისცეს თანამშრომლებს მისი გაცნობის შესაძლებლობა;

4. წინამდებარე შინაგანაწესი ძალას კარგავს ახალი შინაგანაწესის დამტკიცების შემთხვევაში.